თარიღი 12.01.2024

ინსპექტირების ანგარიში

№0001-4/01/24

ინსპექტირების ობიექტი: ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვის ქ. №12-ში ნაკვეთი №029/012 მოქალაქე იციკ მოშეს კუთვნილ ტერიტორიაზე ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი

თბილისი
2024 წელი

შემადგენლობა

1.დამკვეთი 3

2.შემსრულებელი ინსპექტორი/ები 3

3.კვლევაში გამოყენებული მასალები 4

4.კვლევითი ნაწილი 4

5.გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 6

6.დასკვნა 7

დამკვეთი:	შპს „ბაგი ჯეორჯია“
საიდენტიფიკაციო კოდი:	402044300
მისამართი:	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №154
დამკვეთის წარმომადგენელი:	დირექტორი: როლანდი ჯანაშვილი
ინსპექტირების ჩატარების საფუძველი:	განაცხადი №002/01/24 ხელშეკრულება №002/01/24
ინსპექტირების სფერო:	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შეფასება/ინსპექტირება

შემსრულებელი ინსპექტორი/ები:

1	მიხეილ საველიძე	ინჟინერ-მშენებელი

კვლევაში გამოყენებული მასალები:

1. შპს „ემ დე ჯგუფი“ - ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის ქ. №12-ში ნაკვეთი №029/012 მოქალაქე იციკ მოშეს კუთვნილ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, კონსტრუქტორი ზ. კიზირია;
2. შპს „გეოგეგმა“ - საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა; ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის ქ. №12-ში საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები, მრავალფუნქციური შენობის დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით, ინჟინერ-გეოლოგი მ. ბაბილოძე;
3. შპს „ემ დე ჯგუფი“ - ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის ქ. №12-ში ნაკვეთი №029/012 მოქალაქე იციკ მოშეს კუთვნილ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილი, არქიტექტორი კ. დეკანოიძე;

გამოკვლევა

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, ი. ჯავახიშვილის ქ. №12-ში ნაკვეთი №029/012 მოქალაქე იციკ მოშეს კუთვნილ ტერიტორიაზე ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

<u>კონსტრუქციების აღწერა.</u>

საპროექტო ობიექტი მოშენების თვალსაზრისით გეგმაში რომბისებური მოხაზულობისაა, რაც განპირობებულია წითელი (სასაზღვრო) ხაზების ფორმით. კონსტრუქციულად შენობა მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვანია. ჩარჩოს სვეტების განაწილების სურათი გეგმაში ასეთია „A“-“B“-„C“-“D” ღერძების გასწვრივ, „1'“ ; “2”; “2'“ ღერძებს შორის

(5.4×1)+(5.16×1)=10.56 მ

„1'“-“2“- “2'“ ღერძების გასწვრივ, „A“-“B“-„C“-“D” ღერძებს შორის

(6.2×1)+(6.2×1) =12.40 მ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შენობა კონსტრუქციულად მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვანია, სართულიანობის მიხედვით ექვს სართულიანი (მათ შორის სარდაფის სართული

A-EXPERT

მიწისქვეშა სართული განთავსებულია ნიშნულებში (-3.38)-(-0.08მ), სიმაღლით 330სმ.

ხუთი მიწისზედა სართული ნიშნულებში (-0.08)÷(+16.75მ), სიმაღლით 330სმ.

პირობით ნიშნულს ±0.00მ; შეესაბამება აბსოლუტური გეოდეზიური ნიშნული 390.4მ.

ჩარჩოს სვეტების განივი კვეთებია b×h=40×40სმ. b×h=40×50სმ. b×h=40×60სმ. სვეტების თავები ერთმანეთთან დაკავშირებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილით. ნიშნულზე -0.08მ. წიბოების განივი კვეთებია b×h=40×50სმ. ფილების სისქეა δ=16სმ. დანარჩენ ნიშნულებზე პერიმეტრის ფარგლებში წიბოების განივი კვეთებია b×h=40×50სმ; ხოლო შიდა სივრცეში წიბოების განივი კვეთებია b×h=100×22სმ; ფილების სისქეა δ=16სმ.

სართულშუა გადახურვის დონეზე მოწყობილი მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილები, როგორც ჰორიზონტალური, ასავე ვერტიკალური მიმართულებით შენობას ანიჭებენ სათანადო სიხისტეს.

შენობის საძირკვლებად საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის გაანალიზების თანახმად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკვეთიანი ფილა, სისქით 60სმ. ფილის ქვეშ გათვალისწინებულია 10სმ. სისქის ბეტონის მომზადება კლასით B7.5; ხოლო მომზადების ქვეშ მდინარის დატკეპნილი ბალასტი სისქით 50სმ. ბალასტის ქვეშსააყრდენ გრუნტად მიღებულია ფენა №2 თიხნარი, რომლის საანგარიშო ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგია:

წვრილი კენჭების ჩანართებით. ფენის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

სიმკვრივე	ρ=1.87ტ/მ3.
დეფორმაციის მოდული	E =170კგძ/სმ2.
ხვედრითი შეჭიდულობა.	c=0.11კგ/სმ2
შიდა ხახუნის კუთხე	φ°=14
პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0=1.80კგ/სმ2

კონსტრუქციებისათვის ბეტონის სიმტკიცის კლასი მიღებულია „B-25” ხოლო არმატურის კლასი A500C, A240C.

პროექტში გათვალისწინებულია შემდეგი კლიმატური მონაცემები:

ქარის ჩქაროსნული ნორმატიული დაწნევა - w_0 = 48.0 კგ/მ2.

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - S = 50.0 კგ/მ2.

საანგარიშო სეისმური ზემოქმედება - J = 8 ბალი. (უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.20).

პროექტი შედგენილია დღეისათვის მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე. სამშენებლო მოედნის ირგვლივ არსებული მჭიდრო განაშენიანების გამო, ქვაბულის დამუშავება ქანობებით ვერ მოხერხდება ამიტომ პროექტის ავტორებმა გამოიყენს მისი გაძლიერება ნაბურღ-დასატენი ხიმინჯების საშუალებით. ხიმინჯების განლაგების გეგმა მოცემულია ფურცელზე კ-01-1. ხიმინჯების დიამეტრია 30სმ. სიგრძე 4.2მ. ხიმინჯების ძირის ნიშნულია -6.38მ. ხიმინჯები განთავსებულია ძირითადი შენობის გარეთ „1“ და „3“ ღერძების გასწვრივ. მათ შორის ბიჯი ცენტრებში ტოლია 60სმ. ერთობლივი მუშაობის უზრუნველსაყოფად ხიმინჯების თავები გაერთიანებულია მონოლითური რკინაბეტონის კოჭებით, განივი კვეთით b×h=40×50სმ. პროექტის მიხედვით არსებული შენობის კონსტრუქცია და ხიმინჯები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია (შენობა არ ეყრდნობა ხიმინჯებს).

პროექტი გაანგარიშებულია და შედგენილია სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა სრული დაცვით, ხელით, სამშენებლო მექანიკის პრინციპების გამოყენებით. დამუშავებული პროექტის მიხედვით აგებული შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილი, უზრუნველყოფს შენობის უსაფრთხო მუშაობას საექსპლოატაციო პერიოდში მასზე მოსალოდნელი შესაძლო საანგარიშო სტატიკური და სეისმური ზემოქმედებისას.

გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები

1.საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 15 იანვრის დადგენილება №71) ტექნიკური რეგლამენტი „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი №3);

2. СП 43.13330.2012 Сооружения промышленных предприятий. Актуализированная редакция СНиП 2.09.03-85. Минрегионразвития РФ. Москва 2012;

3. Справочник проектировщика инженерных сооружений. Под редю А.П. Величкина и В.Ш.Козлова, Изд. „БУДІВЕЛЬНИК“ Киев 1973;

4. BREC-IB-PR-05: ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები;

შპს „მშენებლობა-პროექტირებისექსპერტიზის ცენტრი„ A-ტიპის ინსპექტირების ორგანო ს/კ 405194249შპს „მშენებლობა-პროექტირების ექსპერტიზის ცენტრი“ საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ატენის ქ.№6/8, ბ. 66 პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შეფასება/ინსპექტირება	გვერდი 7/9 გვერდიდან

GAC – IB – 0330
სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013

დასკვნა

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი ქ. თბილისში, ი. ჯავახიშვილის ქ. №12-ში ნაკვეთი №029/012 მოქალაქე იციკ მოშეს კუთვნილ ტერიტორიაზე ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი პასუხობს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს. პროექტი შედგენილია არსებული სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. კონსტრუქციულ პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი _____ მიხეილ საველიძე

ტექნიკური მენეჯერი _____ მიხეილ საველიძე

დირექტორი _____ დავით ჯიჯიეშვილი

შპს „მშენებლობა-პროექტირებისექსპერტიზის ცენტრი„ A-ტიპის ინსპექტირების ორგანო ს/კ 405194249შპს „მშენებლობა-პროექტირების ექსპერტიზის ცენტრი“ საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ატენის ქ.№6/8, ბ. 66 პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შეფასება/ინსპექტირება	გვერდი 8/9 გვერდიდან

GAC – IB – 0330
სსტ ისო/იეკ
17020:2012/2013

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0330

ადასტურებს, რომ

შპს „მშენებლობა-პროექტირების ექსპერტიზის ცენტრი“-ს
A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. № 13 ბინა №78;

შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტაციის სფერო მოცემულია აკრედიტაციის მოწმობის დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
18 ივლისი 2022 წ.

ძალაშია
18 ივლისი 2026 წ.

ბ.ა.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

A-ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო
შპს „მშენებლობა-პროექტირების ექსპერტიზის ცენტრი“

მისამართი: ქ. თბილისი, ატენის ქ.№ 6/8, ბ. 66

3.ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების), შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება.	ობიექტის (შენობა-ნაგებობის) მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1.სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი I); 2.სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი II); 3.სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი III); 4.ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში №71); . 5.ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლ ის 28 იანვრის დადგენილება №41); 6.საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“) 7.BPEC-IB-PR 03: ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები
4. პროექტის კონსტრუქციული (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების) ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება;	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1.სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი I); 2.სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი II); 3.სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი III); 4.საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №71) 5.BREC-IB-PR-05: ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები
5. პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება;	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1.სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“) 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71) 5.BREC-IB-PR-06: ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU



ექსპერტის დასკვნა
FORENSICS REPORT

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5000730024

09/02/2024

5000730024

შპს "ბაგი ჯეორჯია"-ს დირექტორს,

ბატონ როლანდი ჯანაშვილს

(საქართველო, ქალაქი თბილისი, ჭყონდიდელის 87)

ბატონო როლანდი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2023 წლის 26 დეკემბრის რეგისტრაციის N1010402423) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N000813624 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 10 ფურცლად;

01 ფუთა - საპროექტო დოკუმენტაცია

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

5000730024

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 13.02.2024 (ხელმოწერა) გ.ჯ



000813624

ექსპერტის დასკვნა № 000813624

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს ბაგი "ჯეორჯია"

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ჭყონდიდელის 87

სახელი და გვარი: როლანდი ჯანაშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

კახა კახობერაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 2 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ჩაატაროთ ექსპერტიზა ქ. თბილისში, ი. ჯავახიშვილის ქუჩა #12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 7 აგვისტოს #204726 ბრძანებით შეთანხმებული სამშენებლო პროექტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით მშენებლობის გაგრძელება (განხორციელება) იქონიებს თუ არა უარყოფით ზეგავლენას მომიჯნავე შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე (მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევა).

შემოსვლის თარიღი: 26/12/2023 წ

გასვლის თარიღი: 09/02/2024 წ

დასკვნა

ქალაქ თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ქ. #10-ში არსებული საცხოვრებელი შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, ხოლო მისი კონსტრუქციული სქემა მოქმედ სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა. კედლებზე არსებული დაზიანებები დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით ძირითადად II ხარისხისაა, თუმცა ზოგიერთი ბზარის გახსნილობა III ხარისხის დაზიანების ფარგლებშია, რაც გულისხმობს, რომ შენობის ამჟამინდელი სახით ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია და რეკომენდირებულია მოხდეს მისი გაძლიერება შესაბამისი დეტალური გამოკვლევების საფუძველზე შესრულებული პროექტის მიხედვით.

ქალაქ თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ქ. #14-ში არსებული საცხოვრებელი შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მასზე რაიმე სახის მნიშვნელოვანი დაზიანებები და დეფორმაციები არ შეინიშნება. იქიდან გამომდინარე, რომ შენობას არ გააჩნია რკინა-ბეტონის ანტისეისმური სარტყელი, მისი კონსტრუქციული სქემა მოქმედ სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა (Სნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“ თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7).

ქალაქ თბილისში, მოსე გოგიბერიძის ქ. #9-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, ხოლო მისი კონსტრუქციული სქემა მოქმედ სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით არსებული დაზიანებები შეესაბამება II ხარისხს. ასეთ ხარისხში დაზიანებული შენობის ექსპლუატაცია შესაძლებელია, თუმცა

საჭიროებს დაკვირვებას და რეკომენდირებულია არსებულ ბზარებზე გაიკრას შესაბამისი ყალაურები.

ჩვენს მიერ 2016 წელს აღნიშნულ ხიმინჯების ფარდის მოწყობის პროექტს ჩაუტარდა ექსპერტიზა, სადაც დადებითად იქნა შეფასებული იგი და გაიცა დასკვნა #006361216, აგრეთვე 2018 წელს გაცემული იქნა დასკვნა #005025118, სადაც აღნიშნულია, რომ „პროექტის კონსტრუქციული ნაწილით, კერძოდ „ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ში მშენებარე სასტუმროს ქვაბულის გამაგრებისა და მომიჯნავედ არსებულ შენობებს შორის ხიმინჯების ფარდის მოწყობის პროექტი“-ის მიხედვით სამუშაოების დასრულების, ხოლო შემდგომ მშენებლობის განხორციელებისა და ექსპლუატაციის პირობებში ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ში მშენებარე შენობიდან უარყოფითი ზეგავლენა მომიჯნავე ი. ჯავახიშვილის #10; #12 და მოსე გოგიბერიძის ქ. #9-ში მდებარე შენობებზე კონსტრუქციული თვალსაზრისით მოსალოდნელი არ არის და აღნიშნულ შენობებზე არსებული დაზიანების ხარისხი არ შეიცვლება“. იქიდან გამომდინარე, რომ დამკვეთის მიერ წარმოდგენილ პროექტში უცვლელია კონსტრუქციული გადაწყვეტები, ზემოთ აღნიშნული დასკვნები ძალაშია და ივანე ჯავახიშვილის #12-ში ასაშენებელი შენობის სამშენებლო სამუშაოების გაგრძელებით მომიჯნავე შენობებზე უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის, თუმცაღა აუცილებელია სამშენებლო სამუშაოები წარიმართოს ისეთი ტექნოლოგიური პროცესებით, რომ არ მოხდეს ვიბრაციული ზემოქმედებები მომიჯნავედ არსებული შენობების კედლებზე.

კახა კახობერაშვილი

გამოკვლევა

2024 წლის 30 იანვარს ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქალაქ თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ქ. #10-ში, #14-ში და მოსე გოგიბერიძის ქუჩა #9-ში მდებარე საცხოვრებელი შენობები, მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით.

ივანე ჯავახიშვილის ქ. #10-ში მდებარე საცხოვრებელი შენობა ორსართულიანია, უსარდაფო. იგი აშენებულია დაახლოებით XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. შენობა განთავსებულია სწორ რელიეფზე და გეგმაში გააჩნია რთული ფორმა, მიახლოებითი გაბარიტული ზომებით 10.0x20.0 მ. კონსტრუქციული თვალსაზრისით, შენობა მზიდკედლებიანია, რომლებიც ამოყვანილია წითელი და ქართული აგურის წყობით, სისქით 50-60 სმ. შენობას არ გააჩნია რკინა-ბეტონის ანტისეისმური სარტყელი, რაც მოქმედი სეისმური ნორმებით დაუშვებელია. სართულშუა და სასხვენო გადახურვები შესრულებულია ხის კოჭებით, ხოლო სახურავი მოწყობილია ხის კონსტრუქციებით და თუნუქის ბურულით. შიდა ეზოს მხრიდან შენობას გააჩნია ხის დგარებით და კოჭებით მოწყობილი აივანი (ფოტო 1...3).

აღნიშნულ მისამართზე არსებულ შენობაზე, ვიზუალური დათვალიერებით, შეინიშნება შემდეგი სახის ხარვეზები და დაზიანებები: ჯავახიშვილის ქ. #12-ში სამშენებლო მოედნის მხარეს არსებულ გარე კედელზე წარმოქმნილია ვერტიკალური მიმართულების ნაპრალი და კედლის წყობა დარღვეულია, ხოლო კედლის წყობის ხსნარი გამოფიტულია და მექანიკური ზემოქმედებით იშლება (ფოტო 4). ივანე ჯავახიშვილის ქუჩის მხრიდან არსებულ გარე კედელზე, ასევე პარაპეტზე წარმოქმნილია დახრილი მიმართულების ზედაპირული ბზარები (ფოტო 5, 6), ხოლო უკანა ფასადის მხრიდან არსებული ტორსული კედლის აგურის წყობა გამოფიტულია და ნაწილობრივ დაშლილია (ფოტო 7, 8). რაც შეეხება შიდა კედლებს, განივ კედლებზე და ტიხრებზე წარმოქმნილია დახრილი მიმართულების ზედაპირული და გამჭოლი ბზარები, ასევე კედლებისა და ტიხრების შეერთების ადგილებზე განვითარებულია ვერტიკალური მიმართულების ბზარები (ფოტო 9...14). შიდა კედლებზე და ჭერებზე შესამჩნევია ატმოსფერული ნალექების ჩამოდინების კვალი, რის გამოც კედლებზე და ტიხრებზე არსებული ხის ტკეჩი დაზიანებულია მპალით და დეფორმირებულია (ფოტო 15, 16). პირველი სართულის იატაკებზე შესამჩნევია დახრილობა. შენობის შიდა ოთახების და ბინების სრული დათვალიერება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. შენობაზე არსებული დაზიანებები სავარაუდოდ გამოწვეულია მისი კონსტრუქციების მნიშვნელოვანი ასაკობრივი ცვეთით და ხანგრძლივი ექსპლუატაციის მანძილზე გადატანილი მიწისძვრებით, ტექნიკური მოუვლელობით.

ამრიგად, ქალაქ თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ქ. #10-ში არსებული საცხოვრებელი შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, ხოლო მისი კონსტრუქციული სქემა მოქმედ სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა. კედლებზე არსებული დაზიანებები დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით ძირითადად II ხარისხისაა, თუმცა ზოგიერთი ბზარის გახსნილობა III ხარისხის დაზიანების ფარგლებშია, რაც გულისხმობს, რომ შენობის ამჟამინდელი სახით ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია და რეკომენდირებულია მოხდეს მისი გაძლიერება შესაბამისი დეტალური გამოკვლევების საფუძველზე შესრულებული პროექტის მიხედვით.

ქალაქ თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ქ. #14-ში მდებარე საცხოვრებელი შენობა სამსართულიანია სარდაფით. მცხოვრების გადმოცემით, იგი დაახლოებით აშენებულია XX საუკუნის დასაწყისში. შენობა განთავსებულია დახრილ რელიეფზე და გეგმაში გააჩნია რთული ფორმა, მიახლოებითი გაბარიტული ზომებით - 24.0x24.0 მ. კონსტრუქციული თვალსაზრისით, შენობა

გადაწყვეტილია მზიდი კედლების ვარიანტში, რომლებიც ამოყვანილია აგურით, სისქით - 80 სმ. სართულშუა და სასხვენო გადახურვები მოწყობილია ხის კონსტრუქციებით, ხოლო სარდაფის გადახურვა - ლითონის კოჭებით. შენობა გადახურულია ხის ნივნივებით და თუნუქის ბურულით. შიდა ეზოს მხრიდან, შენობას გააჩნია ხის კონსტრუქციებით შესრულებული შუშაბანდები. სართულებს შორის კომუნიკაცია უზრუნველყოფილია შიდა კიბეებით, რომლებიც მოწყობილია ლითონის ჩანებით (კოსოურები) და რკინა-ბეტონის ანაკრები საფეხურებით. შენობას არ გააჩნია რკინა-ბეტონის ანტისეისმური სარტყელი (ფოტო 17, 18).

მცხოვრებთა გადმოცემით, 2021 წელს აღნიშნულ შენობას ჩაუტარდა მაშტაბური გაძლიერებითი სამუშაოები, თუმცა ჩვენთვის უცნობია მისი გაძლიერების მიზნით გამოყენებული კონსტრუქციული გადაწყვეტები. შენობის შიდა და გარე სივრცე ახლად შერემონტებულია, თუმცა ივანე ჯავახიშვილის და მოსე გოგიბერიძის ქუჩების მხარეს ფასადებზე, ცალკეულ ადგილებზე შესამჩნევია დახრილი მიმართულების ზედაპირული ბზარები, ასევე ბინებშიც ფიქსირდება ვერტიკალური ბეწვისებური ბზარები კედლებისა და ტიხრების შეუღლების ადგილებზე (ფოტო 19...22). შენობის შიდა სივრცის სრული ვიზუალური დათვალიერება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

ამრიგად, ქალაქ თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ქ. #14-ში არსებული საცხოვრებელი შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მასზე რაიმე სახის მნიშვნელოვანი დაზიანებები და დეფორმაციები არ შეინიშნება. იქიდან გამომდინარე, რომ შენობას არ გააჩნია რკინა-ბეტონის ანტისეისმური სარტყელი, მისი კონსტრუქციული სქემა მოქმედ სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა (პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“ თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7).

ქალაქ თბილისში, მოსე გოგიბერიძის ქ. #9-ში მდებარე შენობა ერთსართულიანია, უსარდაფო. იგი დაახლოებით აშენებულია XX საუკუნის შუა ხანებში. იგი განთავსებულია სწორ რელიეფზე და გეგმაში გააჩნია რთული ფორმა, მიახლოებითი გაბარიტული ზომებით - 5.0x9.0 მ. კონსტრუქციულად შენობა მზიდკედლებიანია, რომელიც ამოყვანილია აგურით, სისქით - 20 სმ. შენობის სახურავი და სასხვენო გადახურვა შესრულებულია ხის კოჭებით, ბურულად გამოყენებულია თუნუქი. შენობას არ გააჩნია რკინა-ბეტონის ანტისეისმური სარტყელი (ფოტო 23, 24).

დღევანდელი მდგომარეობით შენობაზე შეინიშნება შემდეგი სახის ხარვეზები და დაზიანებები: შენობის უკანა კედელი, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ივანე ჯავახიშვილის ქ. #12-ში არსებულ სამშენებლო მოედანს, სავარაუდოდ აშენებულია უფრო ადრეულ პერიოდში და მოგვიანებით მოხდა აღნიშნული შენობის მიშენება, რის გამოც შენობის ტორსულ კედლებს არ გააჩნიათ სათანადო კავშირი აღნიშნულ კედელთან და წარმოქმნილია ნაპრალი (ფოტო 25). გარე კედლებზე, ფანჯრის რაფისქვედა მონაკვეთში და კარების ღიობის ზღუდართან წარმოქმნილია დახრილი მიმართულების ზედაპირული ბზარები (ფოტო 26...28). სახურავის ხის კოჭები და შეფიცვრა ნაწილობრივ დაზიანებულია მპალით (ფოტო 29, 30). შენობის შიდა სივრცის დათვალიერება ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა.

ამრიგად, ქალაქ თბილისში, მოსე გოგიბერიძის ქ. #9-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, ხოლო მისი კონსტრუქციული სქემა მოქმედ სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით არსებული დაზიანებები შეესაბამება II ხარისხს. ასეთ ხარისხში დაზიანებული შენობის ექსპლუატაცია შესაძლებელია, თუმცა საჭიროებს დაკვირვებას და რეკომენდირებულია არსებულ ბზარებზე გაიკრას შესაბამისი ყალაურები.

აღნიშნული შენობების მომიჯნავედ, ივანე ჯავახიშვილის ქ. #12-ში მიმდინარეობდა ხუთსართულიანი შენობის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც დამკვეთის გადმოცემით შეწყდა 2017 წელს. დამკვეთის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით („ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის ქ. #12, ნაკვეთი N029/012 მრავალფუნქციური შენობის მუშა პროექტი“) შენობა კარკასულია, რომელსაც გააჩნია ნაწილობრივ წერტილოვანი, ლენტური და ერთიანი ფილა-საძირკველი. დღევანდელი მდგომარეობით, მოწყობილია შენობის საძირკველი, ნაწილობრივ ამოყვანილია სარდაფის პერიმეტრის მონოლითური რკინა-ბეტონის კედლები და სვეტები პირველი სართულის იატაკის ნიშნულამდე (ფოტო 31...34). მომიჯნავედ არსებულ შენობებზე უარყოფითი ზეგავლენისგან დაცვის მიზნით მოწყობილია ქვაბულის ფერდების გაძლიერებითი კონსტრუქციები, რომელიც წარმოდგენილი პროექტის მიხედვით („ქ. თბილისში, ჯავახიშვილის ქ. #12-ში მშენებარე სასტუმროს ქვაბულის გამაგრებისა და მომიჯნავედ არსებული შენობებს შორის ხიმინჯების ფარდის მოწყობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი“) შესრულებულია მონოლითური ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების ფარდის სახით, რომელთა დიამეტრი 400 მმ-ია, სიგრძე - 7500 მმ, ხოლო ბიჯი - 600 მმ და ისინი ძირითად ქანში ჩაანკერებულია 600 მმ-ით. ხიმინჯების თავზე მოწყობილია რკინა-ბეტონის შემკრავი კოჭები განივი კვეთით 400x600 (h) და 400x1200 (h) მმ. მოსე გოგიბერიძის ქ. #9-ში მდებარე შენობის მხარეს ქვაბულის ფერდების გაძლიერება მოწყობილია ნაწილობრივ. რეკომენდირებულია დროულად მოხდეს ქვაბულის ფერდების გაძლიერება, დასრულდეს სარდაფის პერიმეტრზე არსებული მონოლითური კედლების მშენებლობა და მოეწყოს სარდაფის რკინა-ბეტონის გადახურვა (ფოტო 35, 36). გასათვალისწინებელია ასაშენებელ შენობასა და მომიჯნავედ არსებულ შენობებს შორის დისტანციის უქონლობა, რის გამოც აუცილებელია სამშენებლო სამუშაოები წარიმართოს ისეთი ტექნოლოგიური პროცესებით, რომ არ მოხდეს ვიბრაციული ზემოქმედებები მომიჯნავედ არსებული შენობების კედლებზე.

ჩვენს მიერ 2016 წელს აღნიშნულ ხიმინჯების ფარდის მოწყობის პროექტს ჩაუტარდა ექსპერტიზა, სადაც დადებითად იქნა შეფასებული იგი და გაიცა დასკვნა #006361216, აგრეთვე 2018 წელს გაცემული იქნა დასკვნა #005025118, სადაც აღნიშნულია,

რომ „პროექტის კონსტრუქციული ნაწილით, კერძოდ „ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ში მშენებარე სასტუმროს ქვაბულის გამაგრებისა და მომიჯნავედ არსებულ შენობებს შორის ხიმინჯების ფარდის მოწყობის პროექტი“-ის მიხედვით სამუშაოების დასრულების, ხოლო შემდგომ მშენებლობის განხორციელებისა და ექსპლუატაციის პირობებში ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ში მშენებარე შენობიდან უარყოფითი ზეგავლენა მომიჯნავე ი. ჯავახიშვილის #10; #12 და მოსე გოგიბერიძის ქ. #9-ში მდებარე შენობებზე კონსტრუქციული თვალსაზრისით მოსალოდნელი არ არის და აღნიშნულ შენობებზე არსებული დაზიანების ხარისხი არ შეიცვლება“. იქიდან გამომდინარე, რომ დამკვეთის მიერ წარმოდგენილ პროექტში უცვლელია კონსტრუქციული გადაწყვეტები, ზემოთ აღნიშნული დასკვნები ძალაშია და ივანე ჯავახიშვილის #12-ში ასაშენებელი შენობის სამშენებლო სამუშაოების გაგრძელებით მომიჯნავე შენობებზე უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის, თუმცაღა აუცილებელია სამშენებლო სამუშაოები წარიმართოს ისეთი ტექნოლოგიური პროცესებით, რომ არ მოხდეს ვიბრაციული ზემოქმედებები მომიჯნავედ არსებული შენობების კედლებზე.

კახა კახობერაშვილი

გამოყენებული მასალები

1. „ქ. თბილისში, ჯავახიშვილის ქ. #12-ში მშენებარე სასტუმროს ქვაბულის გამაგრებისა და მომიჯნავედ არსებულ შენობებს შორის ხიმინჯების ფარდის მოწყობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი“;
2. СНиП 2-03. 01-84* ბეტონისა და რკ/ბ კონსტრუქციები;
3. სნწ ჰნ. 01.01-09 “სეისმომედეგი მშენებლობა“;
4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20



ფოტო 21



ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24



ფოტო 25



ფოტო 26



ფოტო 27



ფოტო 28



ფოტო 29



ფოტო 30



ფოტო 31



ფოტო 32



ფოტო 33



ფოტო 34



ფოტო 35



ფოტო 36

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5004549718

19/07/2018 წ.

5004549718

შპს "ბაგი ჯეორჯია"-ს დირექტორს ქალბატონ მარიამ ზაქარიაშვილს

(თბილისი , გ. ჭყონდიდელის 87)

ქალბატონო მარიამ,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2018 წლის 4 აპრილის რეგისტრაციის N1002893218) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N005025118 დასკვნას.
დანართი:

ექსპერტის დასკვნა 12 ფურცლად;

საპროექტო დოკუმენტაცია 02 ალბომი - ერთი ფუთა

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

005025118

ექსპერტის დასკვნა № 005025118

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: შპს ბაგი ჯეორჯია

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: თბილისი , გ. ჭყონდიდელის 87

სახელი და გვარი: მარიამ ზაქარიაშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

ავთანდილ რომელაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 31 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, ჩაატაროთ ექსპერტიზა წარმოდგენილი კითხვების შესაბამისად:

1. რა ზეგავლენას იქონიებს ქ. თბილისში ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ში მდებარე მშენებარე და მიმდებარე შენობა ნაგებობების ტექნიკურ მდგომარეობაზე დინამიკაში მშენებლობის განუახლებლობა იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობა შეჩერებულია 2017 წლის აპრილის თვიდან დღემდე (ს/კ 01.16.05.029.012)

2. პროექტის კონსტრუქციული ნაწილით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით მშენებლობის განხორციელებისა და ექსპლუატაციის პირობებში ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ში მშენებარე შენობა იქონიებს თუ არა გავლენას მომიჯნავე შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე.

3. დღეის მდგომარეობით ქალაქ თბილისში ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად ამოწურულია თუ არა მიმდებარედ არსებულ ნაგებობებზე ურთიერთ გავლენის გამომრიცხავი ღონისძიებები. წინააღმდეგ შემთხვევაში გთხოვთ მოგვცეთ რეკომენდაცია თუ რა სახის სამუშაოები უნდა განხორციელდეს.

შემოსვლის თარიღი: 04.04.2018წ.

გასვლის თარიღი: 19.07.2018წ

დასკვნა

ქ. თბილისში. ჯავახიშვილის ქ. #12-ში მიმდინარე მშენებლობის ნულოვანი ციკლის სამუშაოების დაუსრულებლობა საფრთხის შემცველია მომიჯნავე, ჯავახიშვილის ქ. #10-ში და გოგიბერიძის ქ. #9-ში მდებარე შენობებისათვის და აუცილებელია უახლოეს პერიოდში მოხდეს ქვაბულის ფერდების გაძლიერების დასრულება, ამოყვანილი იქნას სარდაფის კედლები და 0,00 ნიშნულზე მოეწყოს გადახურვის ფილა, ასევე სარდაფის კედლებსა და ქვაბულის ფერდებს შორის სივრცე შეივსოს ფენობრივად დატკეპნილი ბალასტით.

005025118

ექსპერტის დასკვნა № 005025118

1. ქ. თბილისში ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ში (ს/კ 01.16.05.029.012) დაწყებული მშენებლობის ახლო მომავალში განუახლებლობა შესაძლებელია უარყოფითად აისახოს მომიჯნავე შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე (იხ კვლევითი ნაწილი).

2-3. პროექტის კონსტრუქციული ნაწილით, კერძოდ „ქ. თბილისში, ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ში მშენებარე სასტუმროს ქვაბულის გამაგრებისა და მომიჯნავედ არსებული შენობებს შორის ხიმინჯების ფარდის მოწყობის პროექტი“-ის მიხედვით სამუშაოების დასრულების, ხოლო შემდგომ მშენებლობის განხორციელებისა და ექსპლუატაციის პირობებში ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ში მშენებარე შენობიდან უარყოფითი ზეგავლენა მომიჯნავე ი. ჯავახიშვილის 10; 12-ში და გოგიბერიძის #9-ში მდებარე შენობებზე კონსტრუქციული თვალსაზრისით მოსალოდნელი არ არის და აღნიშნულ შენობებზე არსებული დაზიანების ხარისხი არ შეიცვლება.

ავთანდილ რომელაშვილი

გამოკვლევა

2016 წელს ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ში დაგეგმილი მშენებლობის მიმდებარედ (ფოტო 1, 2) ი. ჯავახიშვილის ქ. #10-ში და #14-ში მდებარე შენობების ტექნიკური მდგომარეობა და გაიცა დასკვნა #005161616, იმავე წელს ასევე დაფიქსირებული იქნა გოგიბერიძის ქ. #9-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა, ასევე დადებითად იქნა შეფასებული „ქ. თბილისში, ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ში მშენებარე სასტუმროს ქვაბულის გამაგრებისა და მომიჯნავედ არსებული შენობებს შორის ხიმინჯების ფარდის მოწყობის პროექტი“ და გაიცა დასკვნა #006361216.

დღევანდელი მდგომარეობით ი. ჯავახიშვილის ქ. #14-ის მხარეს მოწყობილია ხიმინჯების ფარდა და მონოლითური რკინაბეტონით ამოყვანილია სარდაფის კედელი, მაგრამ აღნიშნული სახლის საძირკვლები არ არის დაცული ატმოსფერული ნალექების ჩადინებისაგან (ფოტო 3, 4, 5). ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ის და გოგიბერიძის ქ. #09-ის მხარეს ხიმინჯის ფარდა და ქვაბულის ფერდის გამაგრება განხორციელებულია ნაწილობრივ (ფოტო 6, 7, 8, 9). ი. ჯავახიშვილის ქუჩის მხრიდან ქვაბულის ფერდი დამაგრებულია ლითონის მილკვადრატებით და ხის ფარებით, რომელიც გადმოხრილია ქვაბულის მხარეს და არსებობს გზის ნაწილის დაზიანების საფრთხე (ფოტო 10, 11). ამჟამად ქვაბულში მოწყობილია საძირკვლის ფილა და დგას წყალი. ხიმინჯების შემკრავი კოჭის დონეზე მოწყობილი იყო თუ არა ლითონის გამბრჯენი კოჭები გაურკვეველია, დამკვეთის განმარტებით, ლითონის კოჭები ჩაჭრილი იქნა სარდაფის კედლების ამოყვანის შემდეგ. სამშენებლო მოედნის მხარეს ი. ჯავახიშვილის ქ. #10-ში მდებარე შენობის კედელი გაძლიერებულია არმატურის ბადით და შებათქაშებულია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. გაძლიერების სამუშაოები არ არის დასრულებული (ფოტო 12, 13) და აუცილებელია სამუშაო იქნას დასრულებული. აღნიშნული სახლის კედლის მონაკვეთი და იატაკი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ქვაბულის გაუძლიერებელ მონაკვეთს დანესტიანებულია (ფოტო 14, 15). ხოლო ი. ჯავახიშვილის ქ. #14-ში მდებარე შენობის კედლებზე, რომელიც უშუალოდ მდებარეობს სამშენებლო მოედნის მხარეს, ბზარებზე გაკრული თაბაშირის ყალაურები არ არის დაზიანებული (ფოტო 16, 17, 18). ქვაბულში წყლის არსებობით და ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებით მოსალოდნელია ქვაბულის ფერდის ჩამოშლა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს ი. ჯავახიშვილის ქ. #10-ში და გოგიბერიძის ქ. #09-ში მდებარე შენობებზე. ასევე არსებობს საშიშროება ანტისანიტარიის კერის წარმოქმნის. თუ დროულად არ მოხდება ი. ჯავახიშვილის ქუჩის მხრიდან ქვაბულის შევსება შესაძლებელია დაზიანდეს გზის სავალი ნაწილი. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე აუცილებელია უახლოეს პერიოდში მოხდეს ქვაბულის ფერდების გაძლიერების დასრულება, ამოყვანილი იქნას სარდაფის კედლები და 0,00 ნიშნულზე მოეწყოს გადახურვის ფილა, ასევე სარდაფის კედლებსა და ქვაბულის ფერდებს შორის სივრცე შეივსოს ფენობრივად დატკეპნილი ბალასტით.

ამრიგად, ქ. თბილისში, ჯავახიშვილის ქ. #12-ში მიმდინარე მშენებლობის ნულოვანი ციკლის სამუშაოების დაუსრულებლობა საფრთხის შემცველია მომიჯნავე, ჯავახიშვილის ქ. #10-ში და გოგიბერიძის ქ. #9-ში მდებარე შენობებისათვის და აუცილებელია უახლოეს პერიოდში მოხდეს ქვაბულის ფერდების გაძლიერების დასრულება, ამოყვანილი იქნას სარდაფის კედლები და 0,00 ნიშნულზე მოეწყოს გადახურვის ფილა, ასევე სარდაფის კედლებსა და ქვაბულის ფერდებს შორის სივრცე შეივსოს ფენობრივად დატკეპნილი ბალასტით.

005025118

ექსპერტის დასკვნა № 005025118

ავთანდილ რომელაშვილი

გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003

2. სნწ Ან. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"

3. СНиП 2-01. 07-85* დატვირთვები და ზემოქმედება.

4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

005025118

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18

სსიპ ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პარტნიორი ორგანიზაციები:

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL Program):

სსიპ ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვით პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით ლაბორატორიაში ჩატარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სადაც აღიჭურვა ბიუროს დნმ ლაბორატორია და სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა საჭირო უახლესი აპარატურა. INL –ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და რკ-საღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI–ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების სავალიფიკაციო ტესტირებაში.

ჰოლანდიური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფონდის დახმარებით დაპროექტდა და აღიჭურვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ახალი შენობა.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტთათვის პერიოდულად ტარდება სასემინარო სწავლებები სასამართლო ფსიქიატრიის აქტუალური საკითხების ფარგლებში.

თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სამეცნიერო თანამშრომლობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს შორის, რომლის მიზანია განავითაროს ურთიერთობები სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, განახორციელოს ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის გაცვლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს ლაბორატორიებს შორის.

სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო - ლატვია (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ლატვიის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროსთან მინის, რკ-საღებავებისა და ბოჭკოების ექსპერტიზის მიმართულებით. თანამშრომლობა ითვალისწინებს ურთიერთ თანამედროვე მეთოდებზე ინფორმაციისა და ლიტერატურის გაზიარებას და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს ხარისხიანი მონიტორინგის საკითხებში. სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდ. მეწარმე

" აკადემიკოსი-მალხაზ ბედიაშვილი"

მშენებლობა, პროექტირება, პროექტების ექსპერტიზა,
ნაგებობათა მდგრადობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ი. ჯავახიშვილის ქ. № 12-ში მშენებარე (ს/კ 01.16.05.029.012) ხუთსართულიანი (სარდაფით) მრავალფუნქციური შენობის უკვე განხორციელებული სამუშაეობის (გათვალისწინებით), მდგრადობასა და საიმედოობაზე, ასევე შემდგომში განსახორციელებელი სამუშაოების შესაძლებლობის შესახებ და მოახდენს თუ არა მისი სამშენებლო სამუშაოების შემდგომი განხორციელება ზეგავლენას მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებულ შენობების მდგრადობაზე

თბილისი

2020 წ.

ინდ. მეწარმე
" აკადემიკოსი-მალხაზ ბედიაშვილი"

მშენებლობა, პროექტირება, პროექტების ექსპერტიზა, ნაგებობათა მდგრადობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ი. ჯავახიშვილის ქ. № 12-ში მშენებარე (ს/კ 01.16.05.029.012) სუთსართულიანი (სარდაფით) მრავალფუნქციური შენობის უკვე განხორციელებული სამუშაოების (გათვალისწინებით), მდგრადობასა და საიმედოობაზე, ასევე შემდგომში განსახორციელებელი სამუშაოების შესაძლებლობის შესახებ და მოახდენს თუ არა მისი სამშენებლო სამუშაოების შემდგომი განხორციელება გეგავლენას მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებულ შენობების მდგრადობაზე

ევროკავშირის ექსპერტი მშენებლობის დარგში,
საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს დამსახურებული მშენებელი */მ. ბედიაშვილი/*

ინჟინერი */ვ. ოდილავაძე/*

თბილისი
2020 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ი. ჯავახიშვილის ქ. №12-ში მშენებარე (ს/კ 01.16.05.029.012) ხუთსართულიანი (სარდაფით) მრავალფუნქციური შენობის უკვე განხორციელებული სამუშაეობის (გათვალისწინებით), მდგრადობასა და საიმედოობაზე, ასევე შემდგომში განსახორციელებელი სამუშაოების შესაძლებლობის შესახებ და მოახდენს თუ არა მისი სამშენებლო სამუშაოების შემდგომი განხორციელება გეგავლენას მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებულ შენობების მდგრადობაზე

ქ. თბილისი ***24.09.2020 წ.***

ინდ მეწარმე "აკადემიკოსი მალხაზ ბედიაშვილი"-ს და შ.პ.ს. "ბაგი ჯორჯია"-ს დირექტორს ბატონ როლანდ ჯანაშვილს შორის 2020 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება №18-ის საფუძველზე ჩვენს მიერ ვიზუალურად დათვალიერებული და შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, ი. ჯავახიშვილის ქ. №12-ში მშენებარე შენობის დღეისათვის განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები, რათა დაგვედგინა მისი შესაბამისობა პროექტის მიმართ. გარდა ამისა გაანალიზებული იქნა საკითხი მოახდენს თუ არა შემდგომში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებულ, კერძოდ ი. ჯავახიშვილის ქუჩის №10-ში, №14 და გოგობერიძის ქუჩის №9-ში (ს/კ 01.16.05.029.008, ს/კ 01.16.05.029.002, ს/კ 01.16.05.029.007) მდებარე ორ, სამ და ერთსართულიან საცხოვრებელი სახლების მდგრადობაზე.

ექსპერტიზისათვის დამკვეთის მიერ წარმოდგენილია: მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილების მუშა პროექტები, ქვაბულის გამაგრებისა და მომიჯნავედ არსებული შენობებს შორის ხიმინჯების ფარდის მოწყობის კონსტრუქციული პროექტი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება №5101916 (გაცემის თარიღი 14.09.2020 წელი), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება №4532051 (გაცემის თარიღი 06.06.2019 წელი), სსიპ ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული

ბიუროს საექსერტპო დასკვნები გაცემული: №5004549718, 19.07.2018 წ, №5001494919 13.09.2019 წ, №5005890116. 28.10.2016 წ, საექსპერტო დასკვნა (შ.პ.ს. "ალფა პროექტი ჯორჯია" 01.11.2016 წ), ტექნიკური დასკვნა (შ.პ.ს. "ბაზისი XXI" 25.04.2015 წ); საექსპერტო დასკვნა მრავალფუნქციური შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე (შ.პ.ს. "ბაზისი XXI" 31.03.2015 წ); ექსპერტიზის დასკვნა მრავალფუნქციური შენობის პროექტის საინჟინრ-გეოლოგიურ დასკვნაზე.

ტერიტორია, რომელზედაც უნდა აშენდეს მრავალფუნქციური შენობა (ი. ჯავახიშვილის ქ. №12 ს/კ 01.16.05.029.012) საქართველოს სეისმური დარაიონების რუქის მიხედვით განთავსებულია 8 ბალიან სეისმური ზემოქმედების ზონაში. იგი მცირედ დახრილია.

მრავალფუნქციური შენობის საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა დამუშავებულია შ.პ.ს. "გეოგემა"-ს მიერ 2015 წელს (დირექტორი მამუკა ბაბილოძე), რომელშიაც აღნიშნულია: "ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე გამოყოფილია სამი ფენა: ფენა №1 ნაყარი გრუნტი, ფენა №2 თიხნარი და ფენა №3 კენჭნარი".

ფენა №1 ნაყარი გრუნტი გავრცელებულია პირველი ფენის სახით. წარმოდგენილია ნახევრადმყარ, მოყავისფრო მონაცრისფრო თიხნაროვანი მასით, წვრილი ღორღის, კენჭების და სამშენებლო ნაგვის ნარჩენების ჩანართებით. ფენის სიმკვრივე საფონდო მონაცემებით $\rho=1,80$ გ/სმ^3, საანგარიშო წინაღობა $R_0=1,0$ კგძ/სმ^2, ფენის სიმძლავრე 1,5-2,2 მეტრია.

ფენა №2 თიხნარი, წვრილი ხვინჭის ჩანართებით, გავრცელებულია 1,5-2,2 მ სიღრმიდან (მიწის ზედაპირიდან), წარმოდგენილია მოყავისფრო მოყვითალო თიხნარებით. ვიზუალურად ფენა წყლის გახსნამდე მყარი, ხოლო წყლის გახსნის შემდეგ რბილპლასტიკური კონსისტენციისაა. ფენის სიმძლავრე 4,0 მეტრამდეა. ფენა გაწყლოვანებულია 2,8-3,0 მ სიღრმიდან (მიწის ზედაპირიდან).

ფენა №3 კენჭნარი, განლაგებულია მესამე შრის სახით 5,5-6,1 მ სიღრმიდან (მიწის ზედაპირის დონიდან). წარმოდგენილია წვრილი და საშუალო ზომის კენჭებით, იშვიათად ლოდების ჩანართებით. კენჭები კარგად დამუშავებულია და

დახარისხებულია, შემავსებელი ქვიშნარია, რომლის რაოდენობა 20%-ის ფარგლებშია. კენჭების ზედა ქანი, ძირითადად ქვიშები და არგილიტებია, საფონდო მონაცემებით ρ=1,95ტ/სმ^3-ს შეადგენს, შიდა ხახუნის კუთხე $\varphi=40^0$; ხვედრითი შეჭიდულობა C=0,01კგძ/სმ^2, დეფორმაციის მოდული E=400კგძ/სმ^2, საანგარიშო წინაღობა R_0=4,0 კგძ/სმ^2, კენჭნარების ფენა გაწყლოვანებულია

.მრავალფუნქციური შენობის კონსტრუქციული პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. "ემდე ჯგუფი"-ს მიერ 2015 წელს (კონსტრუქტორი ზურაბ კიზირია). იგი დამუშავებულია არქიტექტურული დავალების საფუძველზე.

შენობა ხუთსართულიანია, გააჩნია სარდაფის სართული.

საძირკვლის ქვეშ ფუძედ მიღებულია თიხნარი, მისი ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლები შემდეგია: საანგარიშო წინაღობა R_0=1,80 კგძ/სმ^2, დეფორმაციის მოდული E=400,0კგძ/სმ^2.

შენობა გეგმაში რთული ფორმისაა. გაბარიტული ზომებით ღერძებში 14,95X12,76მ-ია, იგი კარკასული ტიპისაა გრძივი მიმართულებით გააჩნია 5 ღერძი (1, 1^1, 2, 2^1, 3) და განივი მიმართულებით 4 ღერძი (A, B, C, D).

გეოლოგიური კვლევებიდან გამომდინარე საძირკველს წარმოადგენს რკინაბეტონის 60 სმ ფილა.

გრუნტის წყლების გავრცელების გამო საძირკვლის კონსტრუქციები ეწყობა W_6-W_8 წყალშეუღწევადი ბეტონით.

საძირკვლის ფილა ეწყობა -4,580 ნიშნულზე მოწყობილ 500 მმ სისქის შრეობრივად დატკეპნილ წვრილმარცვლოვანი ღორღის ფენაზე, რომლის ზედაპირზე -4,08 ნიშნულზე ეწყობა 10 სმ სისქის B-7,5 კლასის (მ-100 მარკის) ბეტონის მომზადება.

გრუნტთან შეხებაში მყოფი საძირკვლის ზედაპირები მუშავდება საჰიდროსაიზოლაციო მასალებით (ესმება ორი ფენა ცხელი ბიტუმის მასტიკა).

შენობის ჩონჩხედი მონოლითური რკინაბეტონისაა. პერიმეტრზე კედლები (შევსება) უნდა მოეწყოს მცირე ზომის სამშენებლო ბლოკების ქვიშაცემენტის ხსნარზე არმირებული წყობით.

სარდაფის კედლები სისქით 30 სმ მონოლითური რკინაბეტონით ეწყობა.

შენობის ჩონჩხედი წარმოადგენს რიგელების და სვეტების ერთობლიობას, რომლიც უნდა დაბეტონდეს B-25 კლასის (მ-350მარკის) ბეტონით.

სვეტების კვეთი შეადგენს 40X40სმ, 40X50სმ და 40X60სმ-ს, ხოლო რიგელების კი 50X40სმ-ს.

სარდაფის და სართულშუა გადახურვები წარმოადგენენ 180 მმ-ის მონოლითურ რკინაბეტონის ფილებს. სართულებს შორის დამაკავშირებელი კიბეები ასევე მონოლითური რკინაბეტონისაა (ბეტონის საფეხურებით).

შენობის სახურავი (+16,95 ნიშნულზე) ბრტყელი ტიპისაა, სახურავის ფენილი ეწყობა ორი ფენა რულონური მასალებით.

შენობაში "B" ღერძის მიმდებარედ "1[1]-2" ღერძებში სარდაფისა და სართულების გადახურვებში ეწყობა ლიფტის შახტის ღიობები, ხოლო სარდაფში ეწყობა ლიფტის 1,4 მეტრი სიღრმის თანაორმო.

შენობის ჩონჩხედის არმირებისათვის გამოყენებული უნდა იქნას A-I და A-III კლასის გლუვი და პროფილირებული ზედაპირის მქონე არმატურის ღეროები, (A500C და A240C).

გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ სამშენებლო მოედანი შეზღუდულია მიმდებარე შენობებით (ი. ჯავახიშვილის №10 და №14, გოგიბერიძის ქ. №9 განთავსებული საცხოვრებელი სახლები), რომლებსაც ჰქონდათ გარკვეული სახის დეფორმაციები და დაზიანებები, პროექტის მიხედვით ქვაბულის კედლების გამაგრების მიზნით "1" და "3" ღერძებზე უნდა მოწყობილიყო 300 მმ დიამეტრის რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯებით, ეგრეთწოდებული დამცავი ფარადა, ყოველივე ამის გამო სარდაფის (30 სმ სისიქის რ/ბეტონის) კედლები, აღნიშნული ღერძების ნაცვლად ეწყობა "1[1]" და "2[1]" ღერძებზე, რომლებიც შესაბამისად 1,20 და 1,0 მეტრით არიან დაშორებული "1" და "3" ღერძებიდან. ამ ღერძების "A, B, C" ღერძებთან გადაკვეთის ადგილებში, -3,980 ნიშნულზე, რომელზედაც ფუძნდება საძირკვლის ბეტონის მომზადება და რ/ბეტონის ფილა, ეწყობა მონოლითური რ/ბეტონის მპ-1, მპ-2 კვეთით 40X50სმ და მპ-3 კვეთით 50X60სმ პილონების (სვეტების) წერტილოვანი საძირკვლები. ამ საძირკვლებზე დაბეტონდა ეს პილონები და ისინი -0,080 ნიშნულზე იკვრებიან ასევე მონოლითური

რ/ბეტონით მოწყობილი რანდკოჭებით -0,080 ნიშნულის ზევით. ამ პილონებზე ეყრდნობიან სართულების რ/ბეტონის სვეტები.

აღნიშნული პილონები მპ-1, მპ-2 და მპ-3 განთავსებული არიან "1" და"3" ღერძებზე მოწყობილი ნაბურღ-ნატენი ხიმიჯებს შორის და ისინი არ არიან დაკავშირებული ამ ხიმიჯებთან. (ხიმიჯები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ, როგორც დამცავი ფარდა).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვანის (5001494919. 13.03.2019 წ.) გამოკვლევის ნაწილში აღნიშნულია, რომ "მშენებლობის პროექტის მიხედვით ახალი შენობის ძირითადი ნაწილი ეფუძნება საძირკვლის ფილას, რომელიც ეწყობა "1[1]" და "2[1]" ღერძებში, ხოლო "1" და "3" ღერძებზე შენობის მზიდი კონსტრუქცია ეყრდნობა იმავე ღერძებზე მოწყობილ გამყოფ შპუნტერ კედელს, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთ შენობას გააჩნია სამი დამოუკიდებელი საძირკველი სხვადასხვა ჩაღრმავებით და სხვა და სხვა ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლის მქონე გრუნტებზე დაფუძნებით. აღნიშნული კონსტრუქციული გადაწყვეტა მოითხოვს გადახედვას".

ჩვენს მიერ კონსტრუქციული პროექტების შესწავლის და გაანალიზების დროს, აღნიშნულ საკითხს მიექცია განსაკუთრებული ყურადღება და ვასკვნით, რომ ამ საკითხის შესახებ მოსაზრება არასწორია, ამ საკითხთან დაკავშირებით ინჟინერ კონსტრუქტორის ზურაბ კიზირიას მიერ ჩვენი თხოვნით შედგენილია განმარტება (დასკვნას ერთვის დანართის სახით) და როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, შენობის მზიდი კონსტრუქცია არ ეყრდნობა შპუნტურ კედელს (იხ. შენობის კონსტრუქციული პროექტი კ-03).

მზიდი კონსტრუქციები "1" და "3" ღერძებზე მპ-1, მპ-2 და მპ-3 პილონების (სვეტების) მეშვეობით დაფუძნებულია იგივე ფუძეზე, რომელზედაც არის დაფუძნებული შენობის 60 სმ სისქის საძირკვლის მონოლითური რ/ბეტონის ფილა. აქედან გამომდინარე ირკვევა, რომ შენობა დაფუძნებულია ერთგვაროვან ფუძეზე.

შენობის კონსტრუქციული პროექტის მიმართ ექსპერტებს ჰქონდა გარკვეული სახის (უფრო გრაფიკული) შენიშვნები, რომელიც შეჯერებული იქნა

დამპროექტებელთან. ამიტომ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროექტის მიხედვით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელება სრულად არის შესაძლებელი.

ჩვენს მიერ ასევე შესწავლილი იქნა ქვაბულის ფერდობისა და მომიჯნავე შენობების მხარეს ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების მოწყობის კონსტრუქციული პროექტი, რის შემდგომაც ვეთანხმებით შ.პ.ს "ალფა პროექტ ჯორჯია"-ს მიერ 2016 წლის 01 ნოემბერს გაცემულ საექსპერტო დასკვნას. კერძოდ პროექტში მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტა დეტალურად ასახავს ქვაბულის მოწყობას დამატებით კონსტრუქციული ღონისძიებების გატარებას, სამუშაოთა წარმოების თანმიმდევრობას.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალური საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული სამსახურის ბრძანება №453200571 არქიტექტურული სამსახურის მიერ 2015 წლის 17 აგვისტოს №2047726 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი ჩუღურეთი) ი. ჯავახიშვილის ქუჩის №12-ში მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის დემონტაჟისა და მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 20 აგვისტოდან 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით. რის საფუძველზედაც სავარაუდოდ 2015 წელს დაიწყო სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

2017 წლის 02 თებერვლის №AR147422 განცხადების საფუძველზე მშენებლობის ნებართვის ვადა გაგრძელებული იქნა 2018 წლის 28 ივნისის ჩათვლით (ბრძანება №31211493 27.02.2017 წ.). 2018 წლის 19 მაისის №AR1602171 განცხადების საფუძველზე მშენებლობის ნებართვის ვადა გაგრძელებული იქნა 2019 წლის 28 ივნისის ჩათვლით (ბრძანება №3984818 30.05.2018 წ.). 2019 წლის 19 მაისის №AR1684654 განცხადების საფუძველზე მშენებლობის ნებართვის ვადა გაგრძელებული იქნა 2020 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამშენებლო მოედანს უშუალოდ ესაზღვრება ი. ჯავახიშვილის №10-ში და №14-ში ასევე გოგობერიძის ქუჩა ქ. №9 განთავსებული ორ, სამ და ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც დროთა

განმავლობაში ხანდაზმულობის და სეისმური ზემქომედების გამო, მიღებული ჰქონდათ სხვადასხვა სახის დაზიანებები. კერძოდ სამშენებლო მოედნის მიმდებარედ განთავსებულ ტორსულ მზიდ კედლებში განვითარებული ჰქონდათ გარკვეული ტიპის ბზარები. ი. ჯავახიშვილის ქ. №14-ში განთავსებული სამსართულიანი შენობის საძირკვლები განიცდიდნენ ჯდენებს, ამიტომ საჭირო იყო, რომ მშენებლობის დაწყებამდე ამ შენობებს ჩატარებოდათ გარკვეული სახის აღდგენა-გამაგრების სამშენებლო სამუშაოები (განსაკუთრებით №14-ში განთავსებულ ისტორიული ძეგლის სტატუსის შენობას).

ამ სამუშაოების განხორციელებას გარკვეულ ეტაპებზე ხელს შეუშლიდა ი. ჯავახიშვილის №12-ში ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა. ამის გამო ძირითადად გარკვეულ ეტაპებზე შეჩერებული და გადავადებული იქნა ამ შენობის (№12-ში მდებარე) სამშენებლო სამუშაოები.

დღეისათვის აღნიშნულ ობიექტზე (ი. ჯავახიშვილის ქ. №12-ში) შეჩერებულია სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

ჩვენს მიერ ვიზულაურად დათვალიერებული იქნა ი. ჯავახიშვილის №12-ში ჩატარებული სამშენებლო სამუშაოები.

ადგილზე ქვაბულის დათვალიერებით დადგინდა, რომ ი. ჯავახიშვილის №10-ის და №14 მიმდებარედ, პროექტის მიხედვით, მოწყობილია ხიმინჯების ფარდა, ხოლო გოგობერიძის ქ. №9-ის მხარეს ხიმინჯის ფარდა (ქვაბულის ფერდის გამაგრება) განხორციელებულია ნაწილობრივ. (განხორციელებულია "1" და "2" ღერძებში).

დაბეტონებულია 60 სმ-ის სისქის მონოლითური რ/ბეტონის საძირკვლის ფილა, "A" და "3" ღერძებზე მოწყობილია სარდაფის მონოლითური რ/ბეტონის კედლები, რომელზედაც "B-C" ღერძებში დაყრილია სამშენებლო ნაგავი და ბალასტი, მე-2 ღერძის "A, B, C" ღერძებთან გადაკვეთის ადგილებში, დაბეტონებულია სარდაფის მონოლითური რ/ბეტონის სვეტები, ხოლო მე-"2" ღერძის "D" ღერძის გადაკვეთის ადგილზე მოწყობილია პროექტით გათვალისწინებული სარდაფის სვეტის არმატურის კარკასი "1" და "3" ღერძების "A, B, C" ღერძებთან გადაკვეთის ადგილებში დამცავი ფარდის ხიმინჯებს შორის მოწყობილია მპ-1, მპ-2 და მპ-3 სვეტების (პილონების)

წერტილოვანი საძირკველი და ამ სვეტების არმატურის საანკერო ნაშვერები, "1" და "D" ღერძებზე ნაწილობრივ არის მოწყობილი სარდაფის 30სმ სისქის მონოლითური კედლების არმატურის კარკასები, არ არის დაბეტონებული ლიფტის თანაორმო, რომელშიც დათვალიერების დროს იდგა წყალი, ქვაბულის გასწვრივ ამოსულია სხვა და სხვა სახის მცენარეები.

ი. ჯავახიშვილის ქუჩის მხრიდან ქვაბულის ფერდი გამაგრებულია ლითონის მილკვადრატებით და ხის ფარებით, რომლებიც, როგორც იყო აღნიშნული ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №5004549718 (19.07.2018წ.) საექსპერტო დასკვნაში, გადმოხრილია ქვაბულის მხარეს და არსებობს გზის ნაწილის დაზიანების საფრთხე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქვაბულში უამინდობის დროს ჩაედინება გარკვეული რაოდენობის ატმოსფერული ნალექები, რამაც არ არის გამორიცხული, რომ დააზიანოს მიმდებარე შენობების საძირკვლები. ყოველივე აექდან გამომდინარე აუცილებელია ახლად ასაშენებელი შენობის მიწის ქვეშა სამშენებლო სამუშაოების დაუყოვნებლივ დასრულება. როგორც ქვაბულის დათვალიერებით გაირკვა, სამშენებლო სამუშაოები ძირითადად ჩატარებულია კონსტრუქციული პროექტის შესაბამისად.

სამუშაოების გაგრძელების დროს საჭიროა ქვაბული გაიწმინდოს სამშენებლო ნაგვისა და ბალასტისაგან. ასევე ამოსული მცენარეებისაგან. დაუბეტონებელი კონსტრუქციების არმატურის კარკასები გაიწმინდოს ჟანგისაგან და შემდგომ მოხდეს ამ მონოლითური კონსტრუქციების დაბეტონება ასევე მოხდეს ქვაბულის კედლების გაძლიერების დასრულება.

ი. ჯავახიშვილის ქუჩის მხრიდან ქვაბული შეივსოს დატკეპნილი გრუნტით, რათა არ მოხდეს გზის ნაწილის ჩამოშლა. ამოყვანილი უნდა იქნას სარდაფის დარჩენილი 30 სმ-ის სისქის მონოლითური კედლები და მოეწყოს სარდაფის სართულის 18 სმ-ის სისქის მონოლითური რ/ბეტონის გადახურვა. ქვაბულის უბეები შეივსოს ფენებად დატკეპნილი გრუნტით.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენს მიერ ვიზუალურად დათვალიერებული იქნა მეზობლად არსებული შენობების ქვაბულის მიმდებარედ განთავსებული ტორსული კედლები და შესწავლილი იქნა საკითხი თუ რამდენად მოახდენს ზეგავლენას სამშენებლო სამუშაოების შემდგომი წარმოება მიმდებარე შენობების მდგრადობაზე.

აღნიშნული მიმდებარე შენობების დათვალიერებით და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით, ირკვევა: აღნიშნულ შენობას ესაზღვრება სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ი. ჯავახიშვილის ქ. №14), ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ი. ჯავახიშვილის ქ. №10) და ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი (გოგობერიძის №9). ამ შენობების საკადასტრო კოდებია: ს/კ 01.16.05.029.008, ს/კ 01.16.05.029.022, ს/კ 01.16.05.029.007).

ი. ჯავახიშვილის ქ. №14-ში განთავსებული შენობა სამსართულიანია სარდაფით. მას მინიჭებული აქვს ისტორიული ძეგლის სტატუსი. იგი აშენებულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, გეგმაში რუსული ასო "გ"-ს ფორმისაა განთავსებულია დახრილ რელიეფზე.

შენობის კედლები ნაშენია წითელი აგურის კომპლექსური წყობით, კირცემენტის ხსნარის წყობაზე, მზიდი კედლები განთავსებულია გრძივი და განივი მიმართულებით. კედლების სისქე 51 სმ-ია. სართულშუა გადახურვები მოწყობილია ლითონის კოჭებით, იატაკის ფენილი ხისაა. სახურავი ორქანობიანია და მოწყობილია ხის ელემენტებით (მაუერლატი, დგარები, ნივნივები, გამბრჯენები, მოლარტყვა). სახურავის ფენილი მოწყობილია თუნუქის ფურცლებით. კიბის უჯრედში დამონტაჟებულია ლითონის პროფილების კასაურები, რომლებზეც დალაგებულია ბეტონის ცალობითი საფეხურები.

შენობა დაზიანებული იყო და მიეკუთვნებოდა ავარიულ კატეგორიას. აღნიშნულის გამო დამუშავებული იქნა მის გასამაგრებლად გაძლიერების კონსტრუქციული პროექტი, რომლის მიხედვითაც შენობის საძირკვლების გამაგრება მოხდა მონოლითური რ/ბეტონის გობისებური ფილით და პერიმეტრული კოჭებით. კარისა და ფანჯრების ღიობების მოჩარჩოება ხდება ლითონის პროფილებით.

დღეისათვის ამ შენობის გამაგრება-გაძლიერებითი სამშენებლო სამუშაოები თითქმის დასრულებულია.

პროექტით უნდა მოწყობილიყო ლითონის ჭიმები, მაგრამ კონსტრუქციულ პროექტში დღეისათვის შეტანილი კორექტივების შედეგად, ამოღებულია მე-2 და მე-3 სართულებზე ლითონის ჭიმების მოწყობის საკითხი და მათ სანაცვლოდ ხორციელდება ყველა ფანჯრისა და კარის ღიობების გამაგრება ლითონის ელემენტებით.

№12 სახლის სამშენებლო მოედნის მიმდებარედ №14 სახლის წითელი აგურის კირცემენტის ხსნარზე წყობით ნაშენი ტორსული მზიდი კედელი, პირველი სართულის დონეზე, გამაგრებულია არმატურის ღეროებისაგან დამზადებული ბადით და შელესილია (შებათქაშებულია) მაღალი მარკის ქვიშაცემენტის ხსნარით.

სამშენებლო ტერიტორიას მთავარი ფასადის მხრიდან მარცხენა მხარეს ესაზღვრება (ი. ჯავახისვილის №10) ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ნახევარსარდაფით) იგი სავარაუდოდ აშენებულია გასულ საუკუნეში.

შენობა გეგმაში რთული მოხაზულობისაა, განთავსებულია სწორ რელიეფზე. მისი გაბარიტული ზომებია 17X10 მეტრი. სართულის სიმაღლე 2,8 მეტრია.

შენობა ნაშენია წითელი აგურის თიხა-კირის ხსნარზე წყობით. მზიდი კედლები განლაგებულია გრძივი და განივი მიმართულებით, კედლები 60 სმ-ის სისქისაა. სართულშუა გადახურვები მოწყობიია ხის კოჭებითა და ხის ფენილებით. კიბის უჯრედი მოწყობილია ასევე ხის ელემენტებით. შიდა ეზოს მხრიდან მიშენებული აქვს აივნები.

შენობის სახურავი ქანობიანია. მოწყობილია ხის ელემენტებებით (მაუერლატი, ნივნივები, დგარები, გამბრჯენები, მოლარტყვა) . სახურავის ფენილი მოწყობილია თუნუქის ფურცლებით.

შენობის საძირკველი ლენტური ტიპისაა.

როგორც შ.პ.ს. "ალფა პროექტ ჯორჯია"-ს მიერ 01.11.2016 წლის შედგენილი დასკვნიდან ირკვევა, ფასადის მარჯვენა ტორსულ კედელზე განვითარებული იყო სხვადასხვა სიგრძისა და სიგანის ვერტიკალური ბზარები და კედლის წყობის ხსნარი გამოფიტული იყო. აღნიშნულ კედელზე ნაწილობრივ ჩატარებული იყო გამაგრებითი სამუშაოები. კერძოდ აღნიშნული კედელი მიწის ზედაპირიდან 1,8 მეტრის სიმაღლეზე გალესილი იყო ქვიშა-ცემენტის ხსნარით.

განივ კედლებზე წარმოქმნილი იყო სხვადასხვა ზომის დახრილი და განივი ბზარები.

დათვალიერების დროს ამ შენობის წითელი აგურის ტორსული კედელი, რომელიც მდებარეობს სამშენებლო მოედნის მიმდებარედ, გამაგრებული იყო. კედლებზე გაკრული იყო არმატურის ღეროებისაგან დამზადებული ბადეები და კედელი შელესილია (შებათქაშებული) მაღალი მარკის ქვიშა-ცემენტის ხსნარით.

სამშენებლო მოედანს უკანა მხრიდან ესაზღვრება ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი (გოგობერიძის ქ. №9). ისიც სავარაუდოდ აშენებულია გასული საუკუნის მეორე ნახევარში.

შენობა გეგმაში 9X5 მეტრზე, რთული გეომეტრიული ფორმისაა. სართულის სიმაღლე 2,4 მეტრია, კედლები სისქით 20 სმ-ი. ნაშენია წითელი აგურის ქვიშა-ცემენტის ხსნარზე წყობით. მას არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელი. სასხვენო გადახურვა ერთქანობიანია და მოწყობილია ხის ელემენტებით (მაუერლატი, დგარები, ნივნივები, მოლარტყვა). სახურავის ფენილი მოწყობილია თუნუქის ფურცლებით.

შენობის უკანა კედელი, რომელიც ესაზღვრება სამშენებლო ტერიტორიას, ნაშენია უფრო ადრე, ხოლო შენობის წინა ნაწილი მოგვიანებითაა მიშენებული.

შენობის საძირკველი სავარაუდოდ ლენტური ტიპისაა.

სახლის ფასადზე შეიმჩნევა დახრილი და ვერტიკალური ბზარები.

სამშენებლო მოედნის მიმდებარედ არსებული აგურის წყობის კედელი გარეთა მხრიდან უნდა გაძლიერდეს არმატურის ღეროებისაგან დამზადებული ბადეებით და შემდგომ შებათქაშდეს მაღალი მარკის ქვიშა-ცემენტის ხსნარით.

აღნიშნული სამუშაოს განხორციელება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, როდესაც დემონტირდება ი. ჯავახიშვილის ქუჩის №12-ში ადრე განთავსებული, უკვე დემონტირებული შენობის დარჩენილი უკანა კედელი, რომელიც ნაშენია მცირე ზომის სამშენებლო ბლოკების ქვიშა-ცემენტის ხსნარზე წყობითა და მასში ჩაშენებული მონოლითური რკინაბეტონის სვეტებით. აღნიშნული კედლის ლენტური ტიპის საძირკველი მოწყობილია ასევე მონოლითური რკინაბეტონით. ამ სამუშაოების განხორციელება მიზანშეწონილია მას შემდეგ, როდესაც დასრულდება ი. ჯავახიშვილის ქუჩის №12-ში ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის მიწისქვეშა სამშენებლო სამუშაოები. (-00,8 ნიშნულზე)

დასკვნა

ქ. თბილისში, ი. ჯავახიშვილის ქ. №12-ში (ს/კ 01.16.05.029.012) მშენებარე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის დროს შესრულებული მიწისქვეშა სამუშაოები ძირითადად შესრულებულია დამუშავებული კონსტრუქციული პროექტების

(შენობის კონსტრუქციული და ქვაბულის გამაგრების კონსტრუქციული პროექტები შესაბამისად).

მრავალფუნქციური შენობის შემდგომი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება შესაძლებელია დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის სრული შესაბამისობით, ამასთან, სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების შესაბამისად, რათა გაუთვალისწინებელმა სეისმურმა მოვლენებმა და ქვაბულში უხვი რაოდენობით ატმოსფერული ნალექების ჩადინებამ, ზეგავლენა არ მოახდინონ სამშენებლო მოედნის მიმდებარედ განთავსებულ შენობებზე და ი. ჯავახიშვილის ქუჩაზე გამავალ საავტომობილო გზაზე.

რაც შეეხება იმას, მოახდენს თუ არა ზეგავლენას სამშენებლო მოედნის მიმდებარედ განთავსებულ (ი. ჯავახიშვილის ქ. №10-ში, №14-ში და გოგობერიძის ქ. №9-ში. ს/კ 01.16.05.029.008, ს/კ 01.16.05.029.022, ს/კ 01.16.05.029.007) საცხოვრებელი სახლების მდგრადობაზე აღნიშნული მშენებლობა, ვასკვნით: რადგან დღეისათვის გამაგრებულია ი. ჯავახიშვილის ქ. №14-ში მდებარე სამსართულიანი შენობის საძირკვლები და მიმდებარე ტორსული კედელი, ასევე გამაგრებულია ი. ჯავახიშვილის ქ. №10-ში მდებარე ორსართულიანი სახლის მიმდებარე ტორსული კედელი და შემდგომში გასამაგრებელია გოგობერიძის ქ. №9-ში განთავსებული შენობის უკანა კედელი (როგორც დასკვნაშია აღნიშნული იგი უნდა გამაგრდეს შენობის მიწისქვეშა სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე), ი. ჯავახიშვილის ქ. №12-ში ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის სამშენებლო სამუშაოები ზეგავლენას არ მოახდენს მის მიმდებარედ განთავსეულ სამ, ორ და ერთსართულიანი სახლების მდგრადობაზე.

ევროკავშირის ექსპერტი მშენებლობის დარგში,
საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს დამსახურებული მშენებელი /მ. ბედიაშვილი/

ინჟინერი /ვ, ოდილავაძე/

<u>განმარტებითი ბარათი</u>

ქ. თბილისში, ი. ჯავახიშვილის ქ. #12-ში მოქ. იციკ მოშეს კუთვნილ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის განსახორციელებლად გეოლოგიური დასკვნის შესაბამისად „1“ და „3“ ღერძების გასწვრივ საჭირო შეიქმნა ქვაბულის ფერდების გამაგრება ხიმინჯების გამოყენებით.
არქიტექტურული პროექტის მიხედვით აღნიშნულ ღერძებზე (ღერძი „1“ და „3“) 0,000 ნიშნულზე განთავსებულია მზიდი, შენობის შემომზღუდავი კედლები.
კედლების მოწყობა შესაძლებელი შეიქნა დამატებითი კონსტრუქციის გათვალისწინებით. კერძოდ, „A“, „B“ და „C“ ღერძებზე მოეწყო წერტილოვანი საძირკვლები ზემოთაღნიშნულ ხიმინჯებს შორის. ხიმინჯებსა და წერტილოვან საძირკვლებს შორის კავშირი არ არსებობს, ანუ მათ შორის სეისმიური ნაკერია.
შენობის კედელი წერტილოვანი საძირკვლების შემკრავ მონოლითურ რანდკოჭს ეყრდნობა, რომლის თავის ნიშნული -0,080მ-ია.
გამომდინარე იქიდან, რომ ხიმინჯების თავის ნიშნული -1,680მ-ია, კედლის დამჭერი კონსტრუცია (რანდკოჭი) პრაქტიკულად ვერ დაეყრდნობა ხიმიჯების ფარდას (იხ. ნახ. კ-01-1, კვ. 1-1).

1-1



კონსტრუქტორი ზ. კიზირია
















Georgia
IDENTITY CARD
GEO
MALKHAZ
BEDIASHVILI
GEO
M
01008015081
28.01.1935
18.09.2024
13IH07174


TBILISI
18.09.2014
MINISTRY OF JUSTICE
IDGEO13IH071742010080150815<<<<
3501287M2409180GEO<<<<<<<<<<<4
BEDIASHVILI<<MALKHAZ<<<<<<<<<<

საქართველო
Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

დოქტორის დიპლომი
Doctor's Diploma

DOC№ 000478

სამშენებლოფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2016 წლის 30 ივნისის № 2

გადაწყვეტილებით მალხაზ ბედიაშვილს მიენიჭა

ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი მშენებლობაში

სადისერტაციო ნაშრომი: სამოქალაქო ნაგებობათა ანტისეისმური ღონისძიებები (დაზიანებული შენობების აღდგენა-გამაგრების მაგალითები)

By the decision № 2 June 30, 2016 of the Dissertation Council of the Faculty of Civil Engineering

Mr. Malkhaz Bediashvili was awarded PhD Degree in Construction Engineering

Doctoral Thesis: Anti Seismic Measures of Civil Buildings (Cases of Damaged Buildings Restotation -Reinforcement)

საგრეგისტრაციო *Registration* № 00478

დეკანი *Dean* დავით გურგენიძე *David Gurgenidze*

რექტორი *Rector* არჩილ ფრანგიშვილი *Archil Prangishvili*

ბ.ა. *Seal*

თბილისი *Tbilisi* 02 *Day* 05 *Month* 2017 *Year*



საქართველო
მოქალაქის პირადობის მოწმობა

პირადი № 01024059911

სახელი ვაჟა

გვარი [illegible]

დაბადების თარიღი 11.10.1950

დაბადების ადგილი სამტრედია

№ ა 0774237

მფლობელის ხელმოწერა

თბილისი, ამბროლაურის ქ. № 10
ბინა 16

თბილისის სამართალ

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება

საპასპორტო, მიგ. და სარ. სამსახურ

26.09.2005წ

გაცემის თარიღი

მოქმედების ვადა

უვადო

ბ.ა.

თანამშრომლის პირის ხელმოწერა

საქართველოს ლიცენზია

სერია № 1520

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად

ეძლევა შპს „მშენებელი“

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16

მასზედ, რომ მას აქვს უფლება განახორციელოს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა დანართში მოცემულ სახეობებში.

ლიცენზია მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე

განსაკუთრებული პირობები

ლიცენზიის მოქმედების ვადა უვადო

ლიცენზია გაცემულია 10.04.2000წ.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის
მინისტრი მ. ჩხენკელი

CERTIFICATE

OF COURSE GRADUATE

Issued:
November 9, 2006
Prague, Czech Republic

BEDIASHVILI
Malhaz

Specialization subjects:

- construction and forensic expertise
- construction expertise in EU
- appraisal of the real estate according to EU standards

KOMORA SOUDNÍCH ZNALCŮ ČR
Prosecká 74/412
190 00 Praha 9 - Prosek

Ing. Jindřich KRATĚNA CSc.
Czech Chamber of Forensic Experts

Prof. Ing. Zdeněk BITTNAR DrSc.
Dean of FSV ČVUT PRAHA

ASN Experts & Consultans s.r.o.
Vodičkova 30/699, Praha 1
PSČ: 110 00
IČO: 26486148, DIČ: CZ26486148

Dr. Sergey ZAKHAROV, Director
ASN Experts & Consultans

ČESKÉ VYSOKÉ UČENÍ TECHNICKÉ V PRAZE
FAKULTA STAVEBNÍ
166 29 Praha 6, Thákurova 7
IČO: 68407700

Ing.Vladimir VÁCHA
Director of the Institute of
forensic expertise FSV ČVUT

ASCE AMERICAN SOCIETY® OF CIVIL ENGINEERS

By action of the Board of Direction

Malkhaz Bediashvili, Aff.M.ASCE

has been elected

AFFILIATE MEMBER

who is entitled to all the privileges granted by the Constitution of the Society, an organization for the advancement of professional knowledge and the improvement of civil engineering.

Patrick J. Natale

Patrick J. Natale, P.E., F.ASCE
Executive Director

March, 2013

AMERICAN SOCIETY OF CIVIL ENGINEERS

Gregory E. DiLoreto, P.E., P.L.S., F.ASCE
President

CERTIFICATE

of attendance

acknowledging

Mr Malkhaz Bediashvili

"Mshenaghdgena/M" Ltd.

has participated in

business week

Architectural-Construction Week in Tokyo

organised by Kingshill Media Group

27 May - 3 June 2007

Eugene Daubard
Managing Director
Kingshill Publications Ltd

3 June 2007
Tokyo, Japan

Certificate

of attendance

acknowledging

Mr Malkhaz Bediashvili

Mshenagdgena/M Ltd

has participated in

Architectural and Design Week in London

organised by Kingshill Media Group

20 – 26 April 2009

Mr. Eugene Douboval
Managing Director
Kingshill Media Group

26 April 2009
London, UK